



# სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

13 ნოემბერი 2023



N 630/ს

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

### ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ლაითურში შპს „ბერილენდის“ სამელიორაციო (სარწყავი) სისტემის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ბერილენდის“ მიერ, გზმ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ლაითურში სამელიორაციო (სარწყავი) სისტემის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, შპს „ბერილენდის“ მიერ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ლაითურში, კომპანიის საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების (ს/კ: 26.25.07.121; 26.25.07.122; 26.25.07.044; ფართობი 15.3 ჰა) ნაწილზე (15.1 ჰა), დაგეგმილია მოცვის ბაღების გაშენება და 59 200 ერთეული ლურჯი მოცვის ნერგის დარგვა. აღნიშნული ნარგავების წყლით უზრუნველყოფის მიზნით, საპროექტო ტერიტორიაზე გათვალისწინებულია წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობა. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ უახლოესი საცხოვრებელი სახლი საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დაშორებულია დაახლოებით 110 მეტრით, ხოლო წყალაღების წერტილიდან – 362 მეტრით. უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდ. შარისწყალი მიედინება მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრიდან ჩრდილოეთით, დაახლოებით 50 მეტრში.

სკრინინგის განცხადების თანახმად, მოცვის ბაღის მოსარწყავად წყალაღება გათვალისწინებულია საპროექტო ტერიტორიაზე მოსაწყობი ჭაბურღილიდან, რომელზეც აღებული იქნება შესაბამისი ლიცენზია. ჭაბურღილის განთავსების GPS კოორდინატებია: X-737131; Y-4643081. ჭაბურღილიდან აღებული წყალი, ტუმბოსა (20 მ<sup>3</sup>/სთ) და მაგისტრალური მილსადენის მეშვეობით მიყვანილი იქნება 200 მ<sup>3</sup> მოცულობის მქონე გამანაწილებელ რეზერვუართან (GPS კოორდინატები: X-737132, Y-4643079). აღნიშნული რეზერვუარიდან სარწყავი წყალი, ტუმბოს (10 ტ/სთ) საშუალებით, მიეწოდება ფერტიგაციის რეზერვუარს (X-737132; Y-4643074), საიდანაც მილსადენის (560 მეტრი მაგისტრალური და 1 130 მეტრი დამხმარე) მეშვეობით, მიყვანილი იქნება მოცვის ნარგავებამდე. აღნიშნული მილსადენები განთავსდება 50 სმ სიღრმის მქონე ტრანშეაში და გაივლის ბაზოკვლების ბოლოებთან, სადაც დაუერთდება ბაზოკვლებში გათვალისწინებულ წვეთოვან მილებს.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ლურჯი მოცვის ნერგების მორწყვა განხორციელდება სეზონურად, 8 თვის (მარტი-ოქტომბერი) განმავლობაში. მოსარწყავად გამოყენებული წყლის მოცულობა იქნება წელიწადში 23 088 მ<sup>3</sup>.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, მიწისქვეშა მილსადენის მოწყობამდე საპროექტო ტერიტორიაზე მოიხსნება ნიადაგის ნაყოფიერი ფენა, რომლის მართვა განხორციელდება „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. მიწის სამუშაოებისას მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენა დასაწყობდება

ტრანშეის ერთ მხარეს, ხოლო ამოღებული გრუნტი – ტრანშეის მეორე მხარეს. საპროექტო მილსადენის ტრანშეაში განთავსების შემდგომ, ექსკავირებული გრუნტი სრულად იქნება გამოყენებული უკუყრისთვის, ხოლო დასაწყობებული ნიადაგის ნაყოფიერი ფენის განფენა მოხდება გრუნტის ზედაპირზე.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, დაგეგმილი საქმიანობა არ ითვალისწინებს მასშტაბურ სამშენებლო სამუშაოებს და შესრულდება ერთი ექსკავატორის გამოყენებით. სამუშაოების სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 22 დღეს.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, სარწყავი სისტემის მოწყობის ეტაპზე ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელების ძირითადი წყარო იქნება სამშენებლო სამუშაოებში ჩართული ერთი ექსკავატორი, რომელიც იმუშავებს დაახლოებით 22 დღის განმავლობაში. რაც შეეხება სარწყავი სისტემის ექსპლუატაციის ეტაპს, ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელების ძირითადი წყარო იქნება წყალაღების წერტილში და წყლის გამანაწილებელ რეზერვუართან განთავსებული ტუმბოები. წყალაღების წერტილიდან და გამანაწილებელი რეზერვუარიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე დაშორების მანძილის (362 მეტრი) და ასევე, ტუმბოების წარმადობის გათვალისწინებით, სამელიორაციო სისტემის ექსპლუატაცია არ იქნება დაკავშირებული ხმაურის და ვიბრაციის გავრცელებით მოსალოდნელ ზემოქმედებასთან.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ობიექტზე ადგილი იქნება საყოფაცხოვრებო და სახიფათო ნარჩენების წარმოქმნას, რომლებიც შეგროვდება სეპარირებულად, შესაბამის კონტეინერებში. საყოფაცხოვრებო ნარჩენები გატანილი იქნება მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე, ხოლო სახიფათო ნარჩენები (გამოყენებული სასუქების და ქიმიკატების ტარა), შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. ტერიტორია წლების განმავლობაში განიცდიდა ანთროპოგენურ ზემოქმედებას, გამოიყენებოდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით და იგი არ წარმოადგენს ცხოველებისათვის ხელსაყრელ საარსებო გარემოს. საპროექტო ტერიტორიაზე ფიქსირდება ბუჩქოვანი მცენარეები, რომლებიც განთავსებულია მიწის ნაკვეთის საზღვარზე და ქმნის ცოცხალ ღობეს. დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში მრავალწლიანი ხე-მცენარეების ჭრა გათვალისწინებული არ არის. დოკუმენტის თანახმად, სამელიორაციო სისტემის მოწყობა და ექსპლუატაცია არ იქნება დაკავშირებული ბიომრავალფეროვნების კომპონენტებზე ზემოქმედებასთან.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ საქმიანობის სპეციფიკის, ადგილმდებარეობისა და მახასიათებლების გათვალისწინებით, სამელიორაციო სისტემის მოწყობა და ექსპლუატაცია არ იქნება დაკავშირებული გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

**ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის პირველი პუნქტის 1.3 ქვეპუნქტის საფუძველზე,**

### **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ლაითურში შპს „ბერილენდის“ სამელიორაციო (სარწყავი) სისტემის მოწყობა და ექსპლუატაცია არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;

2. შპს „ბერილენდი“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ბერილენდს“ და გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ბერილენდის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

